დამტკიცებულია ცვლილებებით სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ
(აკადემიური საბჭოს დადგენილება № 05/01- 351, 17.07.2017)

1. **საბაკალავრო პროგრამის სახელწოდება** - ისტორია

2. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - ისტორიის ბაკალავრი

3. **პროგრამის მოცულობა კრედიტებით** - 240 (ECTS) კრედიტი, ხანგრძლივობა - 8 სემესტრი, სემესტრში - 30 კრედიტი

4. **სწავლების ენა** - ქართული

5. **პროგრამის ხელმძღვანელები**

- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი **ზურაბ პაპასკირი**
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი **ლია ახალაძე**

6. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული ზოგადი განათლების მქონე პირი, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე;
- უცხო ქვეყნის მოქალაქეები მიიღებიან ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიი საბაკალავრო პროგრამაზე ჩასაბარებლად სავალდებულოა მეოთხე მაპროფილებელი საგნის ჩაბარება ისტორიაში;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტებიდან და სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მობილობის წესით გადმოსული სტუდენტებისათვის ისტორიის საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N 10/ნ ბრძანების შესაბამისად და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ნორმატიული აქტების საფუძველზე.

7. პროგრამის მიზანი

ისტორიის საბაკალავრო პროგრამის ძირითადი მიზანია მომზადდეს მაღალი კვალიფიკაციის მქონე ისტორიკოსი, რომლის ძირითადი უნარ-ჩვევები ეფუძნება თანამედროვე ისტორიული მეცნიერების მიღწევებს. პროგრამა მოიცავს აკადემიურ დისციპლინებს და კვლევის უნარ-ჩვევებს, რომლებიც ერთობლიობაში, ქმნიან მნიშვნელოვან ბაზას ზოგადად განათლებული და ერუდირებული მოქალაქის ფორმირებისათვის. სწორედ ზოგად-ისტორიულმა განათლებამ უნდა განავითაროს მოქნილი ინდივიდი, ანალიტიკური, კრიტიკული და კომუნიკაციური უნარებით, რაც მნიშვნელოვანია ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოებისათვის. ამასთან, პროგრამის პრიორიტეტული მიზანია, უზრუნველყოს თანამედროვე ლიბერალური, დემოკრატიული ღირებულებებისა და ფასეულობების მატარებელი პიროვნების ჩამოყალიბება.

ისტორია წარსულის შემსწავლელი მეცნიერების დარგია, ბუნებრივია საქართველოში, რომელიც უძველესი ცივილიზაციის მქონე ქვეყანაა, ისტორია დიდი პოპულარობით სარგებლობს. შესაბამისად, წინამდებარე საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია მსოფლიო-ისტორიულ პროცესებში საქართველოს როლისა და ადგილის გააზრებაზე.

პროგრამა ითვალისწინებს ჰუმანიტარული პროფილის ზოგადი კომპეტენციის, ისტორიის დარგობრივი კომპეტენციისათვის სავალდებულო და არჩევითი საგნების სწავლებას. პროგრამა დასრულდება საბაკალავრო ნაშრომით.

ზოგადი კომპეტენციის საგნები იყოფა სავალდებულო საფაკულტეტო და თავისუფალ არჩევით საგნებად. სავალდებულო საფაკულტეტო დისციპლინებიდან გათვალისწინებულია უცხო (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) ენა, აკადემიური წერა.

თავისუფალი საგნის არჩევა სტუდენტს შეუძლია ნებისმიერი საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურიდან. დარგობრივი კომპეტენციის ფარგლებში პროგრამის ძირითადი მიზანია სტუდენტმა აითვისოს ძველი მსოფლიოს, შუა საუკუნეების, ახალი და უახლესი დროის ისტორია, გაეცნოს საისტორიო წყაროებს, მისი შესწავლის, სისტემატიზაციისა და კლასიფიკაციის წესებს. შეისწავლოს ისტორიული აზროვნების განვითარება კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, გამოიმუშაოს ისტორიულ რუკასთან მუშაობის მეთოდები და უნარები, გაეცნოს ადგილობრივი და მეზობელი ხალხების ისტორიულ წარსულს. შეძლოს ისტორიის აღქმა და რეპრეზენტაცია. პროგრამის ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციის ფარგლებში სტუდენტმა უნდა გამოიმუშაოს ისტორიული პროცესების, ფაქტებისა და მოვლენების ანალიზის უნარი.
წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამა სტუდენტს მისცემს უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის შესაბამის განათლებას ისტორიის მიმართულებით და გამოუმუშავებს მას ბოლონიის პროცესით განსაზღვრულ საერთაშორისო მოთხოვნათა შესაბამის ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს.

8. სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება - საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს აქვს ისტორიის ფართო და ღრმა ცოდნა, სხვადასხვა სახის ისტორიული კვლევების, მიდგომებისა და მეთოდების ცოდნის საფუძველზეც შეუძლია კაცობრიობის ისტორიული წარსულის კრიტიკული გააზრება, გავლილი ისტორიული გამოცდილების გამოყენება აწმყოსა და მომავალში; აქვს სხვადასხვა ქვეყნის კულტურული ღირებულებებისა და თავისებურებების ცოდნა და პატივისცემა. ბაკალავრი ცალკეული სასწავლო დისციპლინების შესწავლის საფუძველზე აქვს ცოდნა ისტორიული მეცნიერების ძირითადი დარგობრივი ცნებებისა და ტერმინოლოგიების, მეთოდებისა და პრინციპების, ასევე სხვადასხვა ისტორიული თეორიების, კონცეფციებისა და შეხედულებების შესახებ. ძირითადი დარგობრივი დისციპლინებიდან პროგრამით გათვალისწინებულია: საქართველოს (მათ შორის აფხაზეთის) ისტორია, ძველი აღმოსავლეთის, ძველი საბერძნეთის და რომის ისტორია, შუა საუკუნეების ევროპის ქვეყნების ისტორია, ახალი და უახლესი დროის ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ისტორია. კურსდამთავრებულმა იცის სათანადო ტერმინილოგია, დარგში მუშაობის მეთოდები, კერძოდ, აქვს ისტორიული წყაროების კლასიფიკაციის, სისტემატიზაციისა და წყაროს გამოყენების უნარები, აგრეთვე გათვითცნობიერებული აქვს ისტორიული აზროვნების განვითარების ისტორია კაცობრიობის სხვადასხვა ეტაპზე, იცნობს ისტორიულ სკოლებს, ერკვევა არქეოლოგიის, ეთნოლოგიის საფუძვლებსა, პალეოგრაფიაში.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები - პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს აქვს ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების კომპლექსური ანალიზის უნარი, რათა ფაქტებისა და მოვლენების ურთიერთშეჯერების საფუძველზე გაიაზროს ისტორიული პროცესი, მისი შედეგები და გააკეთოს შესაბამისი დასკვნები. დაუფლებულია საისტორიო წყაროების კვლევის, ანალიზისა და გამოყენების ზოგად მეთოდოლოგი-

ას. შეუძლია ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიის მსოფლიო ისტორიული მოვლენების კონტექსტში გააზრება და ა.შ. კურსდამთვარებულის პრაქტიკული უნარებიდან განსაკუთრებული ადგილი უკავია ისტორიკოსის პროფესიისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს, კერძოდ:

- ისტორიული პრობლემის კომპლექსურ ამოცნობა/იდენტიფიცირებას, დარგობრივი ცოდნის, უნარებისა და ეთიკური ნორმების საფუძველზე მის გადაჭრას.
- დღევანდელ ისტორიულ მდგომარეობასა და წარსულს შორის კავშირის კრიტიკულ აღქმას;
- სხვადასხვა ქვეყნების კულტურებისა და ისტორიული წარსულის ცოდნასა და პატივისცემას;
- წარსულის ზოგადი დიაქრონული ჩარჩოს ცოდნას;
- კაცობრიობის წარსულის ერთი ან მეტი პერიოდის სპეციალიზებულ ცოდნას;
- კვლევის საგნის დასახვის, ინფორმაციული წყაროების (დოკუმენტური და ნარატიული მასალები, ზეპირსიტყვიერება, ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობა) მოძიებისა და გაცნობის უნარს, როგორც მშობლიურ ასევე სასურველია ერთ-ერთ უცხო ენაზე;
- რეფერატების, ესსეების, სამეცნიერო სახის ნაშრომის მომზადება-პრეზენტაციის, ნაშრომისათვის სამეცნიერო აპარატის გამართვის და ა.შ. უნარს;
- წერილობითი და ზეპირი ფორმით დასრულებული, დისციპლინის წესების მიხედვით შექმნილი კვლევითი ნაშრომის, რომელშიც გამოჩნდება ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის, დოკუმენტების დამუშავებისა და მასში დასმულ პრობლემასთან კავშირი, – წარმოდგენის უნარს.
- ისტორიული მოვლენების, ფაქტებისა და ისტორიული პროცესის ანალიზის კოგნიტური უნარი;
- ისტორიული წყაროების ურთიერთშეჯერების, მეთოდოლოგიური ანალიზისა და სინთეზის უნარი;
- კრიტიკული აზროვნებისა და თვითკრიტიკის უნარი.
- სხვადასხვა მეცნიერული შეხედულებების აზრების გაგებისა და მანიპულირების უნარი.

დასკვნის უნარი - კურსდამთავრებულს აქვს:

- აბსტრაქტული აზროვნების, ანალიზის, სინთეზისა და დასკვნის უნარი;
- ისტორიული წყაროების მონაცემთა მოძიების, შეგროვებისა და მათი ანალიზისა და სინთეზის უნარი;
- ახალი დარგობრივი მონაცამებისა და სიტუაციების ანალიზი ისტორიული მეცნიერების სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით და დასაბუთებული, არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი;
- მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში აბსტრაქტული მონაცემებისა და კონცეფციების მოცემული საჭიროებისათვის ტრანსფორმაციისა და პრობლემის გადაჭრის ახალი გზების შემუშავების უნარი.
- სადავო მეცნიერული შეხედულებების შემთხვევაში ეფექტური გადაწყვეტილებების მიღებისა და პრობლემის გადაჭრის უნარი;
- არსებული ისტორიული მონაცემების ინტერპრეტაციის უნარი ახალი არგუმენტირებული დასკვნებისათვის.

- ისტორიულ მეცნიერებაში არსებული კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირების და მათი გადაჭრისათვის სათანადო ცოდნისა და მეთოდებების უნარი.
- თავისი კომპეტენციისა და პასუხისმგებლობის სფეროში სამუშაო გეგმის შედგენისა და შესრულების უნარი;
- მუშაობის პროცესში პრიორიტეტების გამოყოფის, საჭირო რესურსების უზრუნველყოფა-გამოყენების, ჯგუფის გამოცდილ წევრებთან /ხელმძღვანელთან/ კონსულტირების უნარი.

კომუნიკაციის უნარი - კურსდამთავრებულს შეუძლია:

- ისტორიული მეცნიერებისათვის შესაფერისი სამეცნიერო ხასიათის ნაშრომების: რეფერატების, ესსეების და ა.შ. წერილობითი მომზადება და ზეპირი პრეზენტაცია როგორც მშობლიურ ენაზე, ასევე ერთ-ერთ ევროპულ ენაზე.
- არსებული ისტორიული პრობლემატიკისადმი მიძღვნილი იდეებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის; მათი გადაცემა ქართულ და ერთ-ერთ უცხო (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) ენაზე;
- გამართული აკადემიური კომუნიკაცია მშობლიურ ენაზე.
- მშობლიურ ენაზე ისტორიულ თემატიკაზე დისკუსიაში პროფესიულ დონეზე მონაწილეობა;
- სხვადასხვა ისტორიული პროექტების დეტალური და სრული წერილობითი ანგარიშის მომზადება მშობლიურ ენაზე;
- უცხო (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) ენის ცოდნა B-2 დონეზე, რითაც შეუძლია დამოუკიდებლად ისაუბროს ისტორიის სხვადასხვა დარგობრივ საკითხებზე.
- გაიგოს ისტორიის თემატური ტექსტების არსებითი შინაარსი, ესმის თავისი სპეციალობის სფერო და შეუძლია დარგობრივი დისკუსიის წარმართვა;
- ნორმალური დიალოგის წარმართვა, სპონტანური და შეუფერხებელი საუბარი;
- განმარტოს გარკვეული აქტუალური საკითხისადმი დამოკიდებულება და მიუთითოს სხვადასხვა შესაძლებლობების უპირატესობები და ნაკლოვანი მხარეები.
- დარგობრივი ტექსტების დამოუკიდებლად და სწრაფად კითხვა; ინფორმაციის სხვადასხვა წყაროების გამოყენება;
- წერილობით მკაფიოდ ჩამოაყალიბოს თავისი აზრები და შეხედულებები სხვადასხვა თემებზე;
- ანგარიშის და თხზულების დაწერა, არგუმენტის მოყვანა სხვადასხვა შეხედულებების საწინააღმდეგოდ ან მხარდასაჭერად.
- შეუძლია თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) გამოყენება ისტორიული მეცნიერების დარგობრივ სფეროში მასალის მოძიებისა და ანალიზისათვის;
- აქვს კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით ინფორმაციის მოპოვებისა და ანალიზის, ინფორმაციის მენეჯმენტის უნარი.

სწავლის უნარი - კურსდამთავრებულს აქვს შემდეგი კომპეტენციები:

- სწავლისა და ცოდნის მუდმივი განახლების, სწავლის საჭიროებების განსაზღვრის უნარი: შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის მართვა რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით;
- სწავლის სტრატეგიის სწორად დაგეგმვის და დროის ეფექტურად ორგანიზების უნარი;
- ახალი ინფორმაციის მიღების, სამეცნიერო ნაშრომებისა და მოსაზრებების აღქმა-ინტერპრეტაციის უნარი;
- სამეცნიერო ბრუნვაში შემოსული სიახლეების, ახალი ისტორიული წყაროების, ან წყაროს დამუშავების ახალი მეთოდების შესწავლისა და ათვისების უნარი;
- მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების უნარი.
- სწავლის პროცესში კვლევის მეთოდოლოგიისა და სტრატეგიის სწორად დაგეგმვის და დროის ეფექტურად ორგანიზების უნარი;
- კვლევის პროცესში აქვს ხელმძღვანელის რეკომენდაციებისა და ინსტრუქციების გაგების, შეთვისებისა და ეფექტურად გამოყენების უნარი;
- ისტორიული წყაროების, სამეცნიერო ლიტერატურისა და დასკვნების კვლევის პროცესში სწორად ინტერპრეტირებისა და გამოყენების უნარი.
- შეუძლია ისტორიის სფეროში აკადემიური პროექტების ცალკეული კომპოტენტების შემუშავება;
- პროექტის სწორად დაგეგმვისა და განხორციელების გზების მექანიზმების შემუშავების უნარი.
- შეუძლია ისტორიის დარგში მის მიერ დამოუკიდებლად შესრულებული სამუშაოს შეფასება/კრიტიკა და ანალიზი;
- შეუძლია შესრულებული სამუშაოს დროს დაშვებული შეცდომების გამოსწორების გზების დამოუკიდებლად მოძიება;
- ხელმძღვანელთან კონსულტირებისა და რეკომენდაციების გათვალისწინების საფუძველზე დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღება შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.

ღირებულებები - კურსდამთავრებულს აქვს შემდეგი კომპეტენციები:

- სამოქალაქო საზოგადოებისათვის აუცილებელი თანამედროვე ლიბერალური, დემოკრატიული ღირებულებებისა და ფასეულობებისადმი პატივისცემა;
- სხვადასხვა ქვეყნის კულტურული ღირებულებებისა და თავისებურებების ცოდნა და პატივისცემა.
- აღნიშნული ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა.
- განსხვავებული აზრების პატივისცემა, ინტერპერსონალური ურთიერთობები და ჯგუფური მუშაობის უნარები;
- შეუძლია პროფესიულ კონტექსტში მოლაპარაკება და კონფლიქტების მოგვარებაში მონაწილეობა;
- პასუხისმგებლობის გრძნობა შესრულებული სამუშაოს მიმართ;
- სოციალური და ეთიკური ურთიერთობების უნარი.

9. ისტორიის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა

№	სასწავლო კურსი/მოდული	კოდი	ECTS	საათების რაოდენობა		კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით								წინაპირობა
				საკონტაქტო	დამოუკიდებელი	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
საფაკულტეტო სავალდებულო კურსები - 45 კრედიტი														
უცხო ენა - 21 კრედიტი						6	6	6	3					
ა)	***ინგლისური ენა - დამწყებთათვის*** *(მათთვის ვისაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამებზე ჩარიცხვისათვის სავალდებულო საგნად არჩეული ჰქონდა სხვა უცხო ენა შეუძლით აირჩიონ ინგლისური ენა - დამწყებთათვის)*													
1.	ინგლისური ენა I (Elementary A1)	ENGL B 001	6	65	85	6								*წინაპირობის გააჩნია*
2.	ინგლისური ენა II (PreIntermediate A2)	ENGL B 002	6	65	85		6							*ENGL B 001*
3.	ინგლისური ენა III(Intermediate B 1)	ENGL B 003	6	65	85			6						*ENGL B 002*
ბ)	***უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) - არჩევით*** *(მათთვის ვისაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აკადემიურ პროგრამებზე ჩარიცხვისათვის სავალდებულო საგნად არჩეული ჰქონდა ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა)*													
1.	***უცხო ენა I*** *– (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) - B 1.2*	ENGL B 011 GERM B 011 FREN B 011 RUSS B 011	6	*65*	*85*	6								წინაპირობის გარეშე
2.	***უცხო ენა II*** *- (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) – B 2. 1*	ENGL B 012 GERM B 012 FREN B 012 RUSS B 012	6	*65*	*85*		6							ENGL B 011 GERM B 011 FREN B 011 RUSS B 011
3.	***უცხო ენა III*** *- (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) – B 2.2*	ENGL B 013 GERM B 013 FREN B 013 RUSS B 013	6	*65*	*85*			6						ENGL B 012 GERM B 012 FREN B 012 RUSS B 012
4.	***დარგობრივი უცხო ენა*** *- (ინგლისური,*	ENGL B 023	3	35	40				3					ENGL B 003/ENGL B 013

	გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა) (ისტორია)													GERM B 013 FREN B 013 RUSS B 013
5.	აკადემიური წერა	ACAD B101	6	65	85	6								წინაპირობის გარეშე
6.	ენათმეცნიერების შესავალი	PHIL B101	6	65	85	6								წინაპირობის გარეშე
7.	საქართველოს ისტორია	HIST B101	6	65	85	6								წინაპირობის გარეშე
8.	კლასიკური ენა /ლათინური/	LA T B101	3	35	40	3								წინაპირობის გარეშე
9.	ფილოსოფიის შესავალი	PHLS B101	3	35	40	3								წინაპირობის გარეშე
ძირითადი (major) სპეციალობის სავალდებულო კურსები - 102 კრედიტი														
1.	ისტორიის მეცნიერების შესავალი	HIST B102	6	65	85		6							HIST B101
2.	საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIIIს. დამდეგის ჩათვლით	HIST B103	6	65	85		6							HIST B101
3.	საქართველოს ისტორია XIII-XVIII საუკუნე-ებში	HIST B104	6	65	85			6						HIST B103
4.	საქართველოს ისტორია XIX-XXI საუკუნის დამდეგი	HIST B105	6	65	85				6					HIST B103 HIST B104
5.	ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორია	HIST B106	6	65	85		6							წინაპირობის გარეშე
6.	ძველი საბერძნეთისა და რომის ისტორია	HIST B107	6	65	85		6							წინაპირობის გარეშე
7.	შუა საუკუნეების ისტორია I	HIST B108	6	65	85			6						HIST B106 HIST B107
8.	შუა საუკუნეების ისტორია II	HIST B109	6	65	85				6					HIST B108
9.	წყაროთმცოდნეობა	HIST B110	6	65	85					6				HIST B102
10.	ევროპისა და ამერიკის ახალი ისტორია I	HIST B111	6	65	85					6				HIST B108
11.	ევროპისა და ამერიკის ახალი ისტორია II	HIST B112	6	65	85						6			HIST B111
12.	ისტორიოგრაფია	HIST B113	6	65	85						6			HIST B102 HIST B110
13.	ევროპისა და ამერიკის უახლესი ისტორია I	HIST B114	6	65	85							6		HIST B111
14.	ევროპისა და ამერიკის უახლესი ისტორია II	HIST B115	6	65	85								6	HIST B114
15.	აფხაზეთის ისტორია	HIST B116	6	65	85							6		HIST B103 HIST B104 HIST B105
16.	**პროფესიული პრაქტიკა**	HIST B117	3	45	30								3	*პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები*
17.	**საბაკალავრო ნაშრომი**	HIST B118	9	75	150								9	*პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები*

	ძირითადი სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები-24 კრედიტი (სტუდენტი ირჩევს სასწავლო კურსებს სემესტრებში მითითებული კრედიტების შესაბამისად)							6	3	3	3+3	3+3		
18.	საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკა	HIST B119	3	35	40									HIST B105
19.	პალეოგრაფია	HIST B120	6	65	85									HIST B102
20.	ეპიგრაფიკა	HIST B121	3	35	40									HIST B120
21.	ისტორიული გეოგრაფია	HIST B122	3	35	40									წინაპირობის გარეშე
22.	ეთნოლოგიის შესავალი	HIST B123	6	65	85									წინაპირობის გარეშე
23.	საქართველოს ეთნოლოგია	HIST B124	3	35	40									HIST B123
24.	ქართული კულტურის ისტორია	HIST B125	3	35	40									წინაპირობის გარეშე
25.	ისტორიული კვლევის მეთოდოლოგია	HIST B126	3	35	40									HIST B102
26.	კავკასიის ხალხთა ეთნოლოგია	HIST B127	3	35	40									HIST B123
27.	დიპლომატიის ისტორია	HIST B128	3	35	40									წინაპირობის გარეშე
28.	ისტორიის ფილოსოფია	HIST B129	3	35	40									წინაპირობის გარეშე
29.	საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია	HIST B130	3	35	40									*წინაპირობის გარეშე*
30.	ახლო აღმოსავლეთის ისტორია	HIST B131	3	35	40									*წინაპირობის გარეშე*
31.	ქართულ-რომაული ურთიერთობები	HIST B132	3	35	40									HIST B107
32.	ელინიზმის ისტორია	HIST B133	3	35	40									HIST B107
33.	ბიზანტიის ისტორია	HIST B134	3	35	40									HIST B107
34.	ამერიკის შეერთებული შტატების ისტორია XX-XXI საუკუნეებში	HIST B135	3	35	40									HIST B111 HIST B112
35.	რუსეთის ისტორია	HIST B136	3	35	40									წინაპირობის გარეშე
36.	აზისა და აფრიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია	HIST B137	6	65	85									წინაპირობის გარეშე
37.	თურქეთის ისტორია	HIST B138	3	35	40									წინაპირობის გარეშე
38.	ირანის ისტორია	HIST B139	3	35	40									წინაპირობის გარეშე
39.	„აღმოსავლეთის საკითხი“ XVIII-XIX საუკუნეების საერთაშორისო ურთიერთობებში	HIST B140	3	35	40									წინაპირობის გარეშე
40.	მსოფლიო ცივილიზაციის ისტორია	HIST B141	3	35	40									წინაპირობის გარეშე
41.	მსოფლიო რელიგიების ისტორია	HIST B142	3	35	40									წინაპირობის გარეშე

42.	მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია	HIST B143	**3**	35	40									წინაპირობის გარეშე
თავისუფალი კურსები *(სტუდენტს ნებისმიერი კურიკულუმის ფარგლებში შეუძლია აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურსი)*			**9**					**3+3**		**3**				
დამატებითი(minor) პროგრამა ან მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამა *(დამატებით (minor) პროგრამას სტუდენტი ირჩევს უნივერსიტეტის ნებისმიერი კურიკულუმიდან)*			**60**						**12**	**12**	**12**	**12**	**12**	
ს უ ლ - 240 კრედიტი						**30**	**30**	**30**	**30**	**30**	**30**	**30**	**30**	

10. დამატებითი (Minor) პროგრამა - ისტორია

- **პროგრამის სახელწოდება** - დამატებითი (Minor) პროგრამა ისტორია
- **სწავლების ენა** - ქართული
- **პროგრამის მოცულობა კრედიტებით** - 60 (ECTS) კრედიტი /5 (IV-VIII)სემესტრი/ სემესტრში - 12 კრედიტი.
- **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** - წინაპირობის გარეშე
- **პროგრამის მიზანი** - ისტორიის დამატებითი (Minor) პროგრამის სწავლების უზრუნველყოფა ხდება ისტორიის (საქართველოს ისტორიის, მსოფლიო ისტორიის და სხვა საკითხების) საბაზო უნარების ათვისების პრინციპით. საგანმანათლებლო პროგრამა არის დამატებითი სპეციალობის შეძენის მსურველთათვის. მასში გათვალისწინებულია, როგორც ზოგადი თეორიული კურსები, რომლებიც ანვითარებენ მომავალი სპეციალისტის საბაზო განათლებას, ასევე სპეციალური პრაქტიკულ-თეორიული კურსები, რომლებიც უზრუნველყოფენ განათლებას ისტორიის სფეროში. მთლიანობაში დამატებითი (Minor) პროგრამა ორიენტირებულია საბაზისო უნარ-ჩვევების შეძენაზე. პროგრამა ხელს უწყობს სტუდენტის ინდივიდუალური ანალიტიკური უნარების ფორმირებას, განვითარებას, კარიერული შესაძლებლობის გაფართოებასა და შემდგომში კვალიფიკაციის შეცვლის საშუალებას.

  ისტორიის პროგრამის ძირითადი მიზანია მისცეს სტუდენტს ისტორიის ზოგადი ცოდნა საქართველოს ისტორიაში უძველესი დროიდან XIIIს. დამდეგის ჩათვლით, საქართველოს ისტორიაში XIII-XVIII საუკუნეებში, საქართველოს ისტორიაში XIX-XXI საუკუნის დამდეგი, ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიაში, ძველი საბერძნეთისა და რომის ისტორიაში, შუა საუკუნეების ისტორიაში, წყაროთმცოდნეობასა და ისტორიოგრაფიაში, რომლის ძირითადი უნარ-ჩვევები ეფუძნება თანამედროვე ისტორიული მეცნიერების მიღწევებს. ამასთან, პროგრამის პრიორიტეტული მიზანია, უზრუნველყოს თანამედროვე ლიბერალური, დემოკრატიული ღირებულებებისა და ფასეულობების მატარებელი პიროვნების ჩამოყალიბება.

- **სწავლის შედეგები**

ცოდნა და გაცნობიერება - კურსდამთავრებულს აქვს ისტორიის ზოგადი ცოდნა საქართველოს ისტორიაში უძველესი დროიდან XIIIს. დამდეგის ჩათვლით, საქართველოს ისტორიაში XIII-XVIII საუკუნეებში, საქართველოს ისტორიაში XIX-XXI საუკუნის დამდეგი, ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიაში, ძველი საბერძნეთისა და რომის ისტორიაში, შუა საუკუნეების ისტორიაში, წყაროთმცოდნეობასა და ისტორიოგრაფიაში, სხვადასხვა სახის მეთოდების ცოდნის საფუძველზეც შეუძლია კაცობრიობის ისტორიული წარსულის კრიტიკული გააზრება, გავლილი ისტორიული გამოცდილების გამოყენება აწმყოსა და მომავალში; აქვს სხვადასხვა ქვეყნის კულტურული ღირებულებებისა და თავისებურებების ცოდნა და პატივისცემა. კურსდამთავრებულმა იცის სათანადო ტერმინილოგია, დარგში მუშაობის მეთოდები, კერძოდ, აქვს ისტორიული წყაროების კლასიფიკაციის, სისტემატიზაციისა და წყაროს გამოყენების უნარები.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები - კურსდამთავრებულს შეუძლია ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების კომპლექსური ანალიზი, რათა ფაქტებისა და მოვლენების ურთიერთშეჯერების საფუძველზე გაიაზროს ისტორიული პროცესი, მისი შედეგები და აკეთებს შესაბამის დასკვნებს. შეუძლია საისტორიო წყაროების ანალიზი და გამოყენება.

დასკვნის უნარი - კურსდამთავრებულს აქვს აბსტრაქტული აზროვნების, ანალიზის, სინთეზისა და დასკვნის უნარი; ისტორიული წყაროების მონაცემთა მოძიების, შეგროვებისა და მათი ანალიზისა და სინთეზის უნარი; მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში აბსტრაქტული მონაცემებისა და კონცეფციების მოცემული საჭიროებისათვის ტრანსფორმაციისა და პრობლემის გადაჭრის ახალი გზების შემუშავების უნარი.

კომუნიკაციის უნარი - კურსდამთავრებულს შეუძლია არსებული ისტორიული პრობლემატიკისადმი მიძღვნილი იდეებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის გაიგოს ისტორიის თემატური ტექსტების არსებითი შინაარსი. ნორმალური დიალოგის წარმართვა, სპონტანური და შეუფერხებელი საუბარი; აქვს კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით ინფორმაციის მოპოვებისა და ანალიზის, ინფორმაციის მენეჯმენტის უნარი.

სწავლის უნარი - კურსდამთავრებულს აქვს სწავლისა და ცოდნის მუდმივი განახლების, სწავლის საჭიროებების განსაზღვრის უნარი: შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის მართვა რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით; სწავლის სტრატეგიის სწორად დაგეგმვის და დროის ეფექტურად ორგანიზების უნარი; ახალი ინფორმაციის მიღების, სამეცნიერო ნაშრომებისა და მოსაზრებების აღქმა-ინტერპრეტაციის უნარი.

ღირებულებები - კურსდამთავრებულს აქვს სამოქალაქო საზოგადოებისათვის აუცილებელი თანამედროვე ლიბერალური, დემოკრატიული ღირებულებებისა და ფასეულობებისადმი პატივისცემბა; სხვადასხვა ქვეყნის კულტურული ღირებულებებისა და თავისებურებების ცოდნა და პატივისცემა. აღნიშნული ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა.

- **დამატებითი (Minor) პროგრამის სტრუქტურა**

№	სასწავლო კურსი/მოდული	კოდი	ECTS	საათების რაოდენობა		კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით								წინაპირობა
				საკონტაქტო	დამოუკიდებელი	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
სავალდებულო კურსები - 48 კრედიტი														
1.	საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIIIს. დამდეგის ჩათვლით	HIST B103	6	65	85				6					წინაპირობის გარეშე
2.	საქართველოს ისტორია XIII-XVIII საუკუნეებში	HIST B104	6	65	85					6				HIST B103
3.	საქართველოს ისტორია XIX-XXI საუკუნის დამდეგი	HIST B105	6	65	85						6			HIST B104
4.	შუა საუკუნეების ისტორია I	HIST B108	6	65	85					6				წინაპირობის გარეშე
5.	ძველი საბერძნეთისა და რომის ისტორია	HIST B107	6	65	85				6					წინაპირობის გარეშე
6.	ევროპისა და ამერიკის ახალი ისტორია I	HIST B111	6	65	85						6			HIST B108
7.	ევროპისა და ამერიკის უახლესი ისტორია I	HIST B114	6	65	85							6		HIST B111
8.	წყაროთმცოდნეობა	HIST B110	6	65	85							6		წინაპირობის გარეშე
არჩევითი კურსები - 12 კრედიტი														
არჩევითი სასწავლო კურსების არჩევა ხდება ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსებიდან													12	
სულ - 60 კრედიტი									12	12	12	12	12	